ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4490670

ნომერი: AR1673186

თარიღი : 02.05.2019

გაცემის თარიღი : 07.05.2019

გაცნობის თარიღი : 08.05.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ ცხომელიძე პ/ნ 01024051938
- საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი, N 24, ბინა 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. საჭიროა საპროექტო არეალი მოინიშნოს საკადასტრო გეგმაზე.
02. გაითვალისწინეთ რომ, სარეკლამო აბრა უნდა განთავსდეს საპროექტო ფასადზე არსებული ღიობის დაცვით. აბრა ან მისი რომელიმე დეტალი არ უნდა გადავიდეს ფასადის შემინულ ნაწილზე.
03. იმ შემთხვევაში თუ საპროექტო აბრის მთლიანი ან ნაწილობრივი განთავსება იგეგმება თქვენს საკუთრებაში არსებულ ფართს მიღმა, სხვის საკუთრებაში არსებულ ფართზე, საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული ფართის მესაკუთრის თანხმობა, განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
04. წარმოდგენილ სურათებზე დაყრდნობით ირკვევა რომ ფასადზე გადის გაზის მილი, საჭიროა წარმოდგინოთ შესაბამისი სამსახურის თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.
05. განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ფუდსერვისის“ მიერ გაცემული მინდობილობა ასევე წარმოდგენილია 01.14.07.004.068.01.02.001 საკადასტრო კოდით არსებულ ფართზე დადებული იჯარის ხელშეკრულება აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები არიან შპს „მასპინძელი“ და შპს „პლიუსი“ საპროექტო ფართს, რომელიც რუკაზე მონიშნული წარმოადგენს 01.14.07.004.068.01.02.001, რომლის მესაკუთრეა შპს „ვივა ბაგები“. აქედან გამომდინარე დაუდგენელია საპროექტო ფართთან მიმართებაში უფლებამოსილების საკითხი.
სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ფართთან მიმართებაში უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. გაითვალისწინეთ თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.